ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 11137/01
13/11/2019

11137-01-2-201911131029

შპს „ოპტიკალ სისტემს ინკის"

მის: თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქ.N72,
კოპრ. 10, სადარბაზო I, ბინა N2

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს N 6451/01 (26.06.2019) წერილის პასუხად თქვენს მიერ მიმდინარე წლის 5 ნოემბერს „მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფ. იელის მიმდებარედ, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (ქვიშრობული ოქროს მომპოვებელი) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის" სკოპინგის ანგარიშზე დამატებით წარმოდგენილ ინფორმაციასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ ინფორმაცია კვლავ საჭიროებს დაზუსტებას და შესაბამის დასაბუთებას ვინაიდან:

- 2019 წლის 18 ივნისს წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის მიხედვით საწარმოს განთავსების ტერიტორიის შერჩევა მოხდა რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტის შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რომლის შედეგად უპირატესობა მიენიჭა ნულოვან ალტერნატივას, როგორც საქმიანობის განხორციელებისათვის შერჩეულ ტერიტორიას. აღსანიშნავია, რომ ნულოვანი ალტერნატივა, კანონმდებლობის მიხედვით განხილული უნდა იქნეს როგორც საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის ალტერნატივა და იგი გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, ანუ რა შეიცვლება იმ შემთხვევაში თუ პროექტი არ განხორციელდება მითითებულ ტერიტორიაზე.
- ამავე დროს დოკუმენტში მითითებული იყო რომ ალტერნატივა 1-ის ტერიტორია საქმიანობის განხორიცელებისათვის გამოყენებული იქნებოდა „იელის" ქვიშრობული ოქროს მე-2, მე-3 და მე-4 უბნების ექსპლუატაციისას.

აღსანიშნავია, რომ მე-2, მე-3 და მე-4 უბნები შერჩეული,, ნულოვანი" ალტერნატიული ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 2 კმ-ით, შესაბამისად ამჟამად წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის მიხედვით 1 - ალტერნატიული ტერიტორიის გამოყენების აუცილებლობა არ დგას. აღნიშნული ტერიტორიის გამოყენება მოხდება იელის ქვიშრობული ოქროს საბადოს მე-2, მე-3 და მე-4 უბნებიდან სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას გარემოზე შესაძლო მაღალი ზემოქმედების შემცირების მიზნით.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ არც სკოპინგის ანგარიშში და არც დამატებით წარმოდგენილ ინფორმაციაში განხილული და გაანალიზებული არ არის საწარმოს განთავსების კონკრეტული ალტერნატივები და ალტერნატივა-1 წარმოადგენს მხოლოდ სამომავლოდ განსაზღვრულ, ასათვისებელ საპროექტო ტერიტორიას. ამავე დროს ,,ნულოვანი" ალტერნატივა წარმაოდგენს შერჩეულ ალტერნატივას, სადაც პირველ ეტაპზე უნდა განთავსდეს ქვიშრობული ოქროს გადამუშავების საწარმო.

ამასთან, საქმიანობა დაგეგმილია მდინარის კალაპოტის უშუალო სიახლოვეს. მიუხედავად აღნიშნულისა წარმოდგენილ დამატებით ინფორმაციაში კვლავ არ არის განხილული და დასაბუთებული სამინისტროს 2019 წლის 26 ივნისის N 6451/01 წერილით განსაზღვრული კონკრეტული საკითხი, რომლის მიხედვითაც, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს უშუალოდ მდინარის სიახლოვეს, წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში კი გარემოზე შესაძლო ზემოქმედების და მისი სახეების შესახებ ინფორმაციაში არ არის განსაზღვრული ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე. დამატებით წარმოდგენილ ინფორმაციაში აღნიშნულია მხოლოდ, ის რომ განსახორციელებელი ქმედებები გავლენას არ მოახდენს ზედაპირული წყლის ობიექტზე, თუმცა არ არის დასაბუთეული რა გარემოებაზე ან შეფასებაზე დაყრდნობით გაკეთდა საქმიანობის განმახორციელებლის მიერ აღნიშნული დასკვნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად სამინისტრო წყვეტს ადმინისტრაციულ წარმოებას. სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოება დაიწყება მას შემდეგ, რაც წერილში მოცემულ საკითხებთან ერთად (ყველა ხარვეზის/უზუსტობის გათვალისწინებით) უზრუნველყოფილი იქნება განახლებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენა სამინისტროში.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე